მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო

კომისიის სხდომა

ოქმი N–1

მესტია 15 ნოემბერი 2023 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - მანონი რატიანი.

სხდომას ესწრებოდნენ: მანონი რატიანი, გვანცა ფალიანი, ხათუნა კახბერიძე, ვერიკო გულედანი, ლევან უდესიანი, ხატია წიკლაური.

მოისმინეს: საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მანონი რატიანმა, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ. მანონი რატიანმა, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, დღის წესრიგით წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5; წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: მ.რატიანი/

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-14, მე-15 მუხლების შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარე განსაზღვრავს კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით, ვაკანტური თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

კომისიის საქმიანობაში, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ხმის უფლების გარეშე, შესაძლებელია ჩაერთოს საჯარო დაწესებულების გენდერზე პასუხისმგებელი პირი.

ხათუნა კახბერიძის განცხადებით საკრებულოს საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში, გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილების მქონე კომისიის წევრებად განიხილებიან

1. მანონი რატიანი – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე).

2. გვანცა ფალიანი – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში. (კომისიის მდივანი).

3. ლევან უდესიანი – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საოქმო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

4. ხათუნა კახბერიძე – მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა მუშაობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი

5. ვერიკო გულედანი – მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების III რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ხოლო, საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში, ხმის უფლების გარეშე კომისიის წევრად განიხილება:

6. ხატია წიკლაური - მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი გენდერულ საკითხებში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, მანონი რატიანმა, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება. წარმოდგენილი სახით, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -5; წინააღმდეგი-0

დაადგინეს: დამტკიცდეს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა წარმოდგენილი სახით:

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე		მანონი რატიანი
კომისიის მდივანი		გვანცა ფალიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო

კომისიის სხდომა

ოქმი N–2

მესტია **15 ნოემბერი 2023 წელი**

სხდომას თავმჯდომარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - მანონი რატიანი.

სხდომას ესწრებოდნენ: მანონი რატიანი, გვანცა ფალიანი, ხათუნა კახბერიძე, ვერიკო გულედანი, ლევან უდესიანი, ხატია წიკლაური.

მოისმინეს: საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, მანონი რატიანმა, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ეტაპების, პირობებისა და შეფასების ფორმების დამტკიცების თაობაზე

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, მანონი რატიანმა, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, დღის წესრიგით წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5; წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ეტაპების, პირობებისა და შეფასების ფორმების დამტკიცების თაობაზე

/მომხსენებელი: მ. რატიანი/

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის. 41-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტის და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-19 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის, საფუძველზე კომისიის თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება რომ ჩატარდეს შიდა კონკურსი.

დახურული კონკურსის ეტაპები და გრაფიკი განისაზღვროს შემდეგნაირად.

პირველი ეტაპი - კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განცხადებების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ დახურული კონკურსის პირველი ეტაპი წარმოადგენს კანდიდატის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.

მეორე ეტაპი - კანდიდატის შეფასება

მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას, სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

კანდიდატის შეფასება უნდა მოხდეს სამუშაო გამოცდილებისა და მისი პროფესიული ცოდნის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით კანდიდატის შეფასება შესაძლებელია გასაუბრებით.

მესამე ეტაპი - კონკურსის შედეგების გამოცხადება.

კომისიამ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად, უნდა წარუდგინოს კომისიის სხდომის ოქმი.

სხდომის თავმჯდომარემ, მანონი რატიანმა, კენჭისყრაზე დააყენა გადაწყვეტილების პროექტი, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ეტაპების, პირობებისა და შეფასების ფორმების დამტკიცების თაობაზე. (დანართი N-1)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5; წინააღმდეგი-0

დაადგინეს: მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების

უფროსის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ეტაპები, პირობები და შეფასების ფორმები დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (დანართი N-1).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე		მანონი რატიანი
კომისიის მდივანი		გვანცა ფალიანი

დანართი N-1

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ეტაპების, პირობებისა და შეფასების ფორმების დამტკიცების თაობაზე

კონკურსის მიზანია, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე (თანამდებობრივი სარგო - 2420 ლარი) დასაკავებლად, დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.

კონკურსს ატარებს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელიც აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ დადგენილ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობისთვის, კანდიდატის მიერ განცხადება წარდგენილ უნდა იქნას მხოლოდ ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge). კანდიდატი ვალდებულია საკონკურსო კომისიას მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით. კანდიდატი უფლებამოსილია განცხადებაში შეიტანოს ცვლილება განცხადების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე. ამასთან, კანდიდატს უფლება აქვს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადება წარადგინოს ერთდროულად არაუმეტეს 5 (ხუთი) ვაკანსიაზე. კანდიდატებს განცხადებების წარსადგენად ეძლევათ ათი სამუშაო დღე, კონკურსის გამოცხადების დღიდან.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა კანდიდატებმა განცხადების შევსების დროს, შესაბამის ველში, უნდა ატვირთოს და გამოაგზავნონ შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:

უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები

(ველში; „განათლება, კვალიფიკაცია“);

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ველში: „დამატებითი დოკუმენტაცია“);
- შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სამუშაო გამოცდილებ დამადასტურებელი სხვა დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი (ველში: „დამატებითი დოკუმენტაცია“).

კონკურსი მოიცავს სამ ეტაპს:

პირველი ეტაპი - განცხადებების გადარჩევა.

მეორე ეტაპი - კანდიდატის შეფასება - **გასაუბრება.**

მესამე ეტაპი - კონკურსის შედეგების გამოცხადება.

პირველი ეტაპი - განცხადებების გადარჩევა.

კონკურსის პირველ ეტაპზე ხდება კონკურსანტების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით და სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმება. საკონკურსო კომისიის დავალებით და მასთან შეთანხმებით, განცხადებების გადარჩევას უზრუნველყოფს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში, რაც დასტურდება კომისიის სხდომის ოქმით და კომისიის წევრთა ხელმოწერით.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში დამუშავებულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ასევე, ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ განსახილველად წარუდგენს საკონკურსო კომისიას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას შერჩეული კონკურსანტების კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრება) დაშვების შესახებ. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.

კონკურსანტი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე თანამდებობის მიმართ დადგენილ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, არასრულყოფილად წარმოადგენს საკონკურსო დოკუმენტაციას ან/და მესტიის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად, განცხადებას წარადგენს ერთდროულად 5-ზე მეტ ვაკანსიაზე, არ დაიშვება კონკურსის მეორე ეტაპზე და შესაბამისად, იგი წყვეტს კონკურსში მონაწილეობას.

კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების თაობაზე, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კონკურსანტებს ეცნობათ განცხადებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კონკურსის მეორე ეტაპის (გასაუბრება.) ჩატარების დროისა და ადგილის თაობაზე, მხოლოდ კონკურსის პირველი ეტაპის გამარჯვებულ კონკურსანტებს მიეწოდებათ კონკურსის მეორე ეტაპის (გასაუბრება.) ჩატარებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით და შესაბამისი ინფორმაცია განთავსდება მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე: www.mestiasakrebulo.ge.

კონკურსის მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრების დროს კანდიდატი პასუხობს კომისიის წევრთა შეკითხვებს, რომლებიც გამომდინარეობს საკონკურსო თანამდებობის სპეციფიკიდან, საკონკურსო პროგრამის ფარგლებში. გასაუბრების დროს კომისია უშუალოდ ეცნობა თითოეულ კონკურსანტს, მის მიერ წარმოდგენილ განცხადებას.

კონკურსანტების შეფასება ხორციელდება ოთხ ბალიანი ქულათა სისტემით, სადაც 1 ქულა მინიმალური (მიუღებელი) შეფასებაა, ხოლო 4 ქულა - მაქსიმალური (ძალიან კარგი). ქულათა სისტემა მთლიანად მოიცავს შეფასების შემდეგ გრადაციებს:

- 1 ქულა - მიუღებელი.
- 2 ქულა - საშუალოზე დაბალი.

☐ 3 ქულა - კომპეტენტური.

☐ 4 ქულა - ძალიან კარგი.

კანდიდატების შეფასების ქულების (საჭიროების შემთხვევაში გარკვეული ჩანაწერების/შენიშვნების) დაფიქსირებისათვის, კომისიის თითოეული წევრი სარგებლობს კანდიდატების შეფასების ფორმით:

კანდიდატების შეფასების ფორმა :

	კანდიდატის სახელი, გვარი	შეფასების ქულა	შენიშვნა

კომისიის წევრის ხელმოწერა: ----------

თარიღი:

კანდიდატების ერთმანეთთან შედარებისა და ამ გზით საუკეთესოს შერჩევის მიზნით, გამოითვლება თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული შეფასების ქულების ჯამი, რაც წარმოადგენს კანდიდატის საკონკურსო ქულას, რომელიც ფიქსირდება კანდიდატთა საკონკურსო ქულების ფორმაში:

კანდიდატთა საკონკურსო ქულების ფორმა

N	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო ქულა
1		
2		

კომისიის თავმჯდომარე ----------

კომისიის წევრი ----------

კომისიის წევრი ----------

კომისიის წევრი ----------

კომისიის წევრი ----------

თარიღი:

04.12 .2023 წელი

დრო: 13.00

საკონკურსო-სააატესტაციო კომისია კანდიდატებთან გასაუბრების შემდეგ, თავის სხდომაზე, კანდიდატების [illegible]ებლად, იღებს გადაწყვეტილებას და საკონკურსო თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს ერთ [illegible]ატს, რომლის საკონკურსო ქულა არის უმაღლესი, მაგრამ არანაკლებ შესაძლო მაქსიმალური [illegible]ონკურსო ქულის (დგინდება გასაუბრების დაწყების წინ, კომისიის დამსწრე წევრთა რაოდენობის [illegible]თვალისწინებით) 60%-ისა. კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის [illegible]ასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან. აუცილებლობის შემთხვევაში, ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს.

კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება ჩანაწერი.

კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთანახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე.

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულია უფრო მცირე ვადა, კომისია უფლებამოსილია გაზარდოს იგი ვადის ამოწურვამდე. ამ შემთხვევაში, თავდაპირველად განსაზღვრული და გაზრდილი ვადის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 3თვეს.

კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აცნობებს ყოველ კანიდადტს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას.

კომისია, კონკურსის დასრულებიდან (გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთ კვირაში ბიუროში წარადგენს ინფორმაციას ჩატარებული კონკურსის შესახებ, რომელშიც მითითებულია ვაკანტური თანამდებობის დასახელება, შემოსული განცხადებების რაოდენობა, კონკურსის ეტაპები და შედეგები.

კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებით პრეტენზიების განხილვის მიზნით, პირს შეუძლია მიმართოს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპრეტენზიო კომისიას მხოლოდ წერილობითი ფორმით, კონკურსის შედეგების (მის მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება) გამოცხადებიდან (გადაწყვეტილების ჩაბარებიდან - წერილობითი გაგზავნის შემთხვევაში და გაგზავნიდან - ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში) არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა.

საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში, ხოლო შემდეგ - სასამართლოში, ან არ გამოიყენოს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და კონკურსის

[illegible]ურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს საქართველოს [illegible]ებლობის შესაბამისად, სასამართლოში.

[illegible]ურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული დავა, დაწესებულებაში საპრეტენზიო [illegible]ისიის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია გადაწყდეს ადმინისტრაციული წესით, უფლების [illegible]ის სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო

კომისიის სხდომა

ოქმი N–3

მესტია **27 ნოემბერი 2023 წელი**

სხდომას თავმჯდომარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - მანონი რატიანი.

სხდომას ესწრებოდნენ: მანონი რატიანი, ხათუნა კახბერიძე, გვანცა ფალიანი, ლევან უდესიანი, ვერიკო გულედანი, ხატია წიკლაური.

მოისმინეს: საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, მანონი რატიანმა, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე პირველი ეტაპის - კანდიდატების განაცხადის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, მანონი რატიანმა, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, დღის წესრიგით წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5; წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე **პირველი ეტაპის-კანდიდატების განაცხადის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის განხილვის შესახებ**

/მომხსენებელი : მ. რატიანი/

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და 40-ე მუხლის „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-19 მუხლის „ა“ პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო მესტიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საოქმო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში გვანცა ფალიანის მიერ წარმოდგენილი კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები-კანდიდატების განაცხადის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით რეგისტრაცია გაიარა სამმა კანდიდატმა. ოქმს თან ერთვის განცხადებების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამობის შესახებ დასკვნა.

დასკვნის საფუძველზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით კანდიდატების განაცხადის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით, კონკურსის მეორე ეტაპზე გადავიდა ერთი კანდიდატი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, მანონი რატიანმა, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე პირველი ეტაპის-კანდიდატების განაცხადის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით კონკურსის მეორე ეტაპზე შორენა გვარლიანისა და ზვიად გეთიას გადაყვანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5; წინააღმდეგი-0

დაადგინეს: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე პირველი ეტაპის-კანდიდატების განაცხადის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით კონკურსის მეორე ეტაპზე გადავიდეს შორენა გვარლიანი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

1. მანონი რატიანი ----------
2. გვანცა ფალიანი ----------
3. ლევან უდესიანი ----------
4. ვერიკო გულედანი ----------
5. ხათუნა კახბერიძე ----------
6. ხატია წიკლაური ----------

კომისიის თავმჯდომარე — მანონი რატიანი

კომისიის მდივანი — გვანცა ფალიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო

კომისიის სხდომა

ოქმი N–4

მესტია **04 დეკემბერი 2023 წელი**

სხდომას თავმჯდომარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე მანონი რატიანი.

სხდომას ესწრებოდნენ: გვანცა ფალიანი, ლევანი უდესიანი, ხათუნა კახბერიძე, ვერიკო გულედანი, ხატია წიკლაური.

მოისმინეს: საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, მანონი რატიანმა, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე **მესამე ეტაპის - კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ**

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, მანონი რატიანმა, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგით წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -4; წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის **ვაკანსიაზე მესამე ეტაპის - კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ**

/მომხსენებელი: მ. რატიანი/

კომისიის წევრებმა მოისმინეს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 2018 წლის 30 აპრილის „საჯარო სამსახურის

შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის ,,გ“ პუნქტისა და 41-ე მუხლის „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ჩატარდა კონკურსი, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე, კონკურსის პროცედურებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ დაფიქსირებულა.
ასევე აღნიშნა, რომ კონკურსზე გამოცხადდა ერთი კონკურსანტი შორენა გვარლიანი, შეფასება მოხდა ზეპირი დავალების მიცემითა და გასაუბრებით. კანდიდატის შეფასების ქულების ჯამი (კანდიდატის საკონკურსო ქულების ფორმა) ოქმს თან ერთვის. მომხსენებელმა აღინიშნა, რომ კონკურსანტის ცოდნა, გამოცდილება და პიროვნული მახასითებლები შეესაბამება ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სამუშაო აღწერილობას.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, მანონი რატიანმა კენჭისყრაზე დააყენა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე კონკურსანტის შორენა გვარლიანის წარდგენის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -4; წინააღმდეგი-0

დაადგინეს: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საოქმო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე დასანიშნად წარედგინოს მანონი რატიანის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

1. მანონი რატიანი ----------
2. გვანცა ფალიანი ----------
3. ლევან უდესიანი ----------
4. ვერიკო გულედანი ----------
5. ხათუნა კახბერიძე ----------
6. ხატია წიკლაური ----------

კომისიის თავმჯდომარე მანონი რატიანი

კომისიის მდივანი გვანცა ფალიანი

კანდიდატების შეფასების ფორმა :

	კანდიდატის სახელი, გვარი	**შეფასების ქულა**	**შენიშვნა**
1.	**შორენა გვარლიანი**	4	

კომისიის წევრის ხელმოწერა: ----------

თარიღი:

04.12.2023 წელი

კანდიდატთა საკონკურსო ქულების ფორმა

N	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო ქულა
1	[illegible]	16
2		

კომისიის თავმჯდომარე ----------

კომისიის წევრი ----------

კომისიის წევრი ----------

კომისიის წევრი ----------

კომისიის წევრი ----------

თარიღი:
04.12.2023 წელი